ტექნიკური დავალება შრომის დაცვის სფეროში მომსახურების გაწევაზე

წინამდებარე ტექნიკური დავალება შემუშავებულია შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტის“ უსაფრთხოების მენეჯერის მიერ. ტექნიკური დავალება მიმართულია შრომის დაცვის სფეროში მომსახურების მიღებაზე გარეშე სპეციალიზებული კომპანიისაგან.

როგორც ცნობილია, საქართველოში შრომის დაცვის სფერო განიცდის უამრავ ცვლილებასა და სიახლეს. ძალაში შედის სულ ახალ-ახალი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, რითაც წაეყენება გაზრდილი მოთხოვნები კომპანიებისადმი შრომის დაცვის შესაბამის ღონისძიებათა ორგანიზებისა და ჩატარების კუთხით. ზოგჯერ სახელმწიფოს მიერ გამოცემული ყველა ნორმატიული დოკუმენტისათვის თვალის დევნებაც კი, არათუ შესწავლა, ერთი ადამიანის მიერ, რომელიც კომპანიაში პასუხისმგებელია შრომის დაცვაზე, შეუძლებლად გვესახება, რადგანაც არსებული პრაქტიკის მიხედვით მას დამატებით ეკისრება ზოგად უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციებიც, მათ შორის: სამოქალაქო უსაფრთხოება, სახანძრო უსაფრთხოება, ფიზიკური დაცვა, ვიდეოთვალთვალი, სამედიცინო თანხლება, დაზღვევა, გარემოს დაცვა, კიბერუსაფრთხოება, ელექტროუსაფრთხოება, საკვები პროდუქტების უსაფრთხოება და ა.შ.

ამიტომ ამჟამად გვსურს მივიღოთ შემოთავაზება კომპეტენტური სპეციალიზებული კომპანიისაგან ჩვენთვის შრომის დაცვის სფეროში მომსახურების გაწევაზე. ამასთან დაინტერესებულნი ვართ თქვენგან მივიღოთ გარანტიები თქვენს მიერ გაწეული მომსახურების ხარისხზე და მის სავალდებულო შესაბამისობაზე საქართველოს 19.02.2019 წ. N4283 „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის მოთხოვნებისადმი.

თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ იმას, რომ დაინტერესებულნი ვართ, სპეციალიზებული კომპანიისაგან, შრომის დაცვის სფეროში ზოგად მომსახურებასთან ერთად, მივიღოთ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, მათ შორის, აუთსორსინგის შემდეგი სტანდარტული მომსახურება:

1. შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტის“ მიერ შრომის დავის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის მომსახურების გაწევა;
2. იურიდიული თანხლება (შრომის დაცვის სფეროში საქართველოს მოქმედი და ახალი ნორმატიული აქტებისათვის თვალის დევნება, ინფორმირება და კომპანიაში დანერგვა). შემკვეთი გაცნობიერებული უნდა იყოს შრომის დაცვის სფეროს ყველა საკითხში, დროულად მიიღოს ინფორმაცია მოქმედი (ან ახალი) ნორმატიული აქტების შესახებ და შრომის დაცვის სფეროში მათი მოთხოვნების შესახებ;
3. კომპანიის ობიექტების ინსპექტირება, მათ შორის შესაბამისი აზომვების ჩატარებითა და მათი რეგისტრაციით. რეკომენდაციების შემუშავება. შესაბამისი ანგარიშგებისა და გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელი აუცილებელი ღონისძიებების გეგმების წარმოდგენა;
4. კომპანიისათვის (შემკვეთისათვის) შრომის დაცვის სფეროში შიდა ნორმატიული დოკუმენტაციის შექმნა (პერიოდული განახლება) და დანერგვა საქართველოს კანონმდებლობის თანახმად. კომპანიაში (შემკვეთი) შრომის დაცვის სფეროში აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის შედგენა და მათი დანერგვის გეგმის შემუშავება;
5. რისკების შეფასების ჩატარება კომპანიის საოფისე მუშაკთა სამუშაო ადგილებზე საშიში და ჯანმრთელობისათვის მავნებელი საწარმოო ფაქტორების გამოვლენის მიზნით - წელიწადში 2-ჯერ;

6. კომპანიაში (შემკვეთი) შრომის დაცვის მართვის სისტემის შექმნა და ფუნქციირების უზრუნველყოფა თქვენი სერტიფიცირებული სპეციალისტების ჩართვით;
7. საკონსულტაციო მომსახურება - შემკვეთის პერსონალური თანხლება შრომის დაცვის სფეროში; ექსპერტთან კონსულტაციის შესაძლებლობა ნებისმიერ სამუშაო დროს. თქვენი სპეციალისტის არაფორმალური დასწრება კომპანიის ობიექტზე, კომპანიის უსაფრთხოების მენეჯერის დროებითი არყოფნის შემთხვევისათვის (წელიწადში ერთხელ);
8. პროფილაქტიკური (პრევენციული) ღონისძიებების ჩატარება კომპანიაში (შემკვეთი) შრომის დაცვის უზრუნველყოფის საქმიანობის განუწყვეტელი სრულყოფის გზით ტრავმატიზმისა და პროფესიული დაავადებების თავიდან ასაცილებლად (გეგმის შედგენა);
9. კომპანიის (შემკვეთი) საოფისე მუშაკთათვის ინდივიდუალური დაცვის აუცილებელ საშუალებათა ჩამონათვლის შემუშავება;
10. გამოძიება და აუცილებელი დოკუმენტაციის გაფორმება (შექმნა, რეგისტრაცია, აღრიცხვა) საგანგებო შემთხვევისათვის (ტრავმატიზმი, ხანძარი და სხვ.).
11. შრომის დაცვისა და პირობების თაობაზე აუცილებელი დოკუმენტაციის შედგენა და გაგზავნა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმების მიხედვით.
12. შემუშავებული გეგმის შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნა შრომის დაცვის სფეროში კომპანიის მუშაკთა სწავლების (ინსტრუქტაჟის) ჩატარება (არანაკლებ წელიწადში 2-ჯერ.
13. ინსტრუქციის შემუშავება და მისი პერიოდული განახლება კომპანიის პერსონალის მოქმედების თაობაზე საგანგებო სიტუაციის შექმნის შემთხვევისათვის (ხანძარი, მიწისძვრა, ტერორისტული საფრთხე, ტექნოგენური კატასტროფა და სხვ.). სავაჭრო ცენტრში ხანძრისა თუ სხვა საგანგებო სიტუაციის წარმოშობისას პერსონალის მოქმედების თაობაზე ტრეინინგების ორგანიზება და ჩატარება კომპანიის თანამშრომლებისათვის - წელიწადში 2-ჯერ. ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა ჩატარების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტაციის შექმნა.
14. საგანგებო სიტუაციის შექმნის შემთხვევისათვის სავაჭრო ცენტრიდან ადამიანთა ევაკუაციის ტრეინინგის მომზადება და ჩატარება. დაცვის ინდივიდუალურ საშუალებათა მართებულ გამოყენებაში, ხანძარქრობის პირველად საშუალებათა გამოყენებაში პრაქტიკული ვარჯიშის ორგანიზება - წელიწადში 2-ჯერ. ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა ჩატარების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტაციის შექმნა.
15. შრომის უსაფრთხოების სფეროში სამუშაოთა და ღონისძიებათა ყველა აუცილებელი გეგმის შედგენა.
16. კომპანიის (შემკვეთის) ინტერესების წარმოდგენა საქართველოს საზედამხედველო-მაკონტროლებელ ორგანოთა მხრიდან შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების სფეროში ინსპექციების ჩატარებისას.
17. აუტსორსინგული კომპანიის სრული იურიდიული პასუხისმგებლობა (მათ შორის ფინანსური) შემკვეთის წინაშე შრომის დაცვის სფეროში კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში (ჯარიმების ან სასამართლო ხარჯების გადახდა).

როგორც ყურადღება მიაქციეთ, ჩვენ პრინციპში გვსურდა მომსახურების სრული პაკეტის მიღება, რომელიც ითვალისწინებს შრომის დაცვის დარგში ყველა აუცილებელი სამუშაოს ჩატარებას და ყველა აუცილებელი მოთხოვნისა და ღონისძიების შესრულებას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მომსახურების გაწევის ადგილი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N213, სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლის" მმართველი შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი" ს/კ 204557014.

წინადადებათა წარდგენის ვადა: განაცხადის მიღებიდან 10 სამუშაო დღე.

მოთხოვნები პოტენციური შემსრულებლისადმი.

თქვენ აუცილებლად უნდა:

1. მიუთითოთ კომპანიის სრული დასახელება, მისი რეკვიზიტები, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი.
2. ხელმძღვანელის გვარი, სახელი რეესტრის მიხედვით.
3. კომპანიის საშტატო რიცხოვნობა. მუშაკთა არსებული სერტიფიკატები სახელმწიფო პროგრამის მიხედვით აკრედიტაციის შესახებ და მათი მოქმედების ვადა. აუცილებლად საჭიროა იმ სპეციალისტის სერტიფიკატის ასლი, რომელიც მიმაგრებული იქნება ჩვენს კომპანიაზე. ცნობა მისი, როგორც შრომის დაცვის დარგში სპეციალისტობის სტაჟის არსებობის შესახებ.
4. საქართველოს ბაზარზე მუშაობის გამოცდილება. ჩამოთვალეთ ობიექტები, კომპანიები, რომლებსაც უწევთ მომსახურებას შრომის დაცვის დარგში. თუკი გაქვთ ამ ორგანიზაციების შეფასებები თქვენს მიერ შესრულებულ სამუშაოზე, წარმოადგინეთ ისინი.
5. შრომის დაცვის დარგში აუტსორსინგში ჩვენს მიერ წარდგენილი მომსახურების ჩამონათვალის გათვალისწინებით, ჩვენ გვსურს მივიღოთ მომსახურების წარმოდგენის კალენდარული გეგმა-გრაფიკი (პერიოდულობა, ვადები, პასუხისმგებელი შემსრულებელი) და შემოთავაზებები ღირებულებითი გამოხატულების თაობაზე ყოველ პუნქტზე.
6. ჩვენ ასევე გვსურს გავარკვიოთ მომსახურების შედეგების მიღება-ჩაბარების წესები (მიუთითეთ თქვენი ხედვა (გამოცდილება) მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციის გაფორმებაში, რომელიც ადასტურებს მომსახურების გაწევას საანგარიშო პერიოდში).
7. გამოგვიგზავნოთ კონტრაქტის ფორმა (შაბლონი), რომელსაც თქვენ აფორმებთ პარტნიორებთან.

უსაფრთხოების მოთხოვნები

კონტრაქტის დასადებად უნდა განხორციელდეს შემსრულებლის შემოწმება უსაფრთხოების პარამეტრების მიხედვით. რისთვისაც შემსრულებელმა შემკვეთს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები/დოკუმენტების ნაწილები (შესაბამისი წესით დამოწმებული ასლები):

- სადამფუძნებლო დოკუმენტები მათში ყველა ცვლილებისა და დამატების გათვალისწინებით (წესდება, დებულება, ოქმი შექმნის შესახებ და ა.შ.);

- მოწმობა სადამფუძნებლო დოკუმენტებისა და მათში შესული ცვლილებებისა და დამატებების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ;

- მოწმობა სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ;

- მოწმობა საგადასახადო ორგანოში აღრიცხვაზე აყვანის შესახებ;

- ამონაწერი იურიდიულ პირთა ერთიანი სახელმწიფო რეესტრიდან, რომელიც გაცემულია მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ხელშეკრულების პროექტის შესათანხმებლად წარდგენამდე არაუადერს ერთი თვით ადრე;

- ხელშეკრულების ხელმოწერაზე პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი, სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტები (მართვის უფლებამოსილი ორგანოს ოქმი (გადაწყვეტილება) აღმასრულებელი ორგანოს შექმნის შესახებ; მინდობილობა, თუ ხელშეკრულებას ხელი მოეწერება არა ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს მიერ; კონტრაგენტის მართვის შესაბამისი ორგანოს შეთანხმება ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარიგების შესრულების შესახებ, იმ შემთხვევებში, როდესაც ეს განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობითა და კონტრაგენტის სადამფუძნებლო დოკუმენტებით);

- ლიცენზიები და/ან სერტიფიკატები, თუკი საქმიანობა, რომელსაც კონტრაგენტი ახორციელებს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ლიცენზირებას და/ან სერტიფიცირებას;

- კონტრაგენტის საბუღალტრო ბალანსი ბოლო ანგარიშგების თარიღისათვის;

- საბანკო ბარათი ხელმოწერების ნიმუშებით და კონტრაგენტის ბეჭდის ტვიფრით.

შემსრულებელი ვალდებულია:

- შემკვეთისგან მიღებული, ან მისთვის დამზადებული დოკუმენტების დედნები და ასლები არ გადასცეს მესამე პირებს შემკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე. შეასრულოს მოვალეობები საკუთარი ძალებით ისე, რომ არ დააკისროს მესამე პირებს კონტრაქტით დაკისრებული ვალდებულებები.

- სამუშაოდან გაათავისუფლოს შემკვეთისათვის მომსახურების გამწევი საკუთარი მუშაკი შემკვეთის მოთხოვნით, თუკი მუშაკი მხილებულია მოვალეობების შეუსრულებლობაში ან არასათანადო შესრულებაში, მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

- გასცეს წარდგენილი მომსახურების ხარისხისა და სარწმუნოების (ლეგიტიმურობის) გარანტია და აიღოს პასუხისმგებლობა შრომის დაცვასა და სახანძრო უსაფრთხოებაში გაწეულ (ან არგაწეულ, მაგრამ კონტრაქტით გათვალისწინებულ) მომსახურებაზე შემკვეთის ობიექტებზე.

შემსრულებელი ასევე ვალდებულია აანაზღაუროს შემკვეთისათვის მიყენებული ზარალი:

- რომლებიც წარმოიშვა მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების დარგში შემკვეთზე დაკისრებული საჯარიმი სანქციების გამო;

- შემკვეთის ქონების განადგურების, დაკარგვის ან დაზიანებისას;

- რომლებიც წარმოიშვა შემსრულებლის მუშაკების მიმართ არსებული სასამართლო გარჩევების გამო ან მათი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამო შემკვეთის ტერიტორიაზე;

- სხვა მიზეზების გამო, მათ შორის, ხანძრისას, რომელიც გამოიწვია შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების დარგში აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობამ ან არასათანადო (არაკეთილსინდისიერმა) შესრულებამ;

- შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების დარგში მომსახურების გაწევის კონტრაქტის შეაბამისად, აღებული ვალდებულებების არაკეთელსინდისიერად შესრულების გამო შემკვეთის მუშაკების ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისას;

შრომისა დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების დარგში კონტრაქტით გაუთვალისწინებელი დამატებითი მომსახურების გაწევა შემსრულებლის მიერ ხდება მხოლოდ შემკვეთისაგან წერილობითი შეტყობინების მიღების შემდეგ, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი მომსახურების საგანი, პერიოდი და ღირებულება. შემკვეთი შეტყობინებას მომსახურების გაწევის აუცილებლობის შესახებ აგზავნის არნაკლებ 3 დღით ადრე მომსახურების გაწევის თარიღამდე.

შემკვეთის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების (ფორს-მაჟორის) წარმოქმნისას შემსრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მივიდეს ობიექტზე უსაფრთხოების მენეჯერისათვის (ადმინისტრაციისათვის) კვალიფიციური დახმარების გასაწევად დამდგარი შემთხვევის ლიკვიდაციაში ან ლოკალიზაციაში.

დავალება: ამგვარად, მიღებული ტექნიკური დავალებისა და მასში გადმოცემული მოთხოვნების საფუძველზე, თქვენ ზემოთ მითითებულ ვადებში, ელექტრონული სახით, უნდა მოამზადოთ და წარუდგინოთ საკონტაქტო პირს თქვენი წინადადება, ამოცანის თქვენებური ხედვა და მისი გადაჭრის მეთოდები ჩვენი კომპანიისათვის შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების დარგში ხარისხიანი მომსახურების გაწევისას. ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ენაზე: ქართულად და ინგლისურად.

შემსრულებელი, საკონტაქტო პირი:

შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტის“ უსაფრთხოების მენეჯერი ნ. კომელევი,

ტელეფონი 599 544 112,

E-mail: n.Komelev@tbilisimall.com

2024 წლის 15 აპრილი

სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლის, შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტის“ გენერალური მენეჯერი -



დ. ზუბკოვი

Terms of reference for the provision of services in the field of labor protection

This term of reference was developed by the safety manager of Rakeen Uptown Development LLC and is aimed at transferring to a third-party specialized company the functions of our company's compliance with the Legislation of Georgia in the field of labor protection.

As you know, the field of labor protection in Georgia is undergoing many changes and innovations. More and more new legislative and regulatory acts come into force, thereby, there are increased requirements for companies to organize and conduct appropriate labor protection measures. Sometimes it is not possible to track, let alone study all the regulatory documents issued by the state by one person responsible for labor protection in the company, since according to existing practice, other functions related to general safety are assigned to him, including: civil security, fire safety, security and monitoring of facilities, environmental protection, civil defense, information security, electrical security, product security, etc.

Therefore, at this time, we would like to receive an offer from a competent specialized company to provide services in the field of occupational safety and health. At the same time, we are interested in receiving guarantees from you for the quality of the services you provide and their indispensable compliance with the requirements of the Law of Georgia "On Labor Safety" No. 4283 of February 19, 2019.

We draw your attention to what we want to receive from a specialized company along with general labor protection services provided for by the Legislation of Georgia, including the following standard outsourcing services:

1. Provision of services to ensure that Rakeen Uptown Development LLC complies with the requirements of the Legislation of Georgia in the field of labor protection.

2. Legal support (monitoring, informing, and introducing into the company current and new regulations of Georgia in the field of labor protection). The customer must be aware of all issues in the field of labor protection, receive timely information about current (or new) regulations and their requirements in the field of labor protection.

3. Inspection of the company's facilities, including the necessary measurements and their registration. Development of recommendations. Provision of relevant reporting and plans of necessary measures to eliminate the identified deficiencies.

4. Creation (periodic updating) and implementation for the company (Customer) of internal regulatory documentation in the field of labor protection, in accordance with the Legislation of Georgia. Drawing up a list of documents required by the company (Customer) in the field of labor protection and developing a plan for their implementation.

5. Carrying out a risk assessment at the workplaces of the company's office workers to identify hazardous and unhealthy production factors - 2 times a year.

6. Creation and ensuring the functioning of labor protection management system in the company (Customer) with the involvement of your certified specialists.

7. Consulting services - personal support of the Customer in the field of labor protection; Opportunity to consult with an expert at any working time. Informal presence of your specialist, in case of temporary absence of the company's security manager (1 time per year).

8. Carrying out preventive (preventive) measures in the company (Customer) through continuous improvement of activities to ensure labor protection to prevent injuries and occupational diseases (drawing up a plan).

9. Development of a list of necessary personal protective equipment for office workers of the company (Customer).

10. Participation in the investigation and execution (creation, registration, accounting) of the necessary documentation in case of an emergency (injury, fire, etc.).

11. Drawing up the necessary reporting on labor protection and working conditions in the forms established by the Legislation of Georgia.

12. In accordance with the developed plan, provide training (instruction) for the company's employees in the field of labor protection (at least 2 times a year).

13. Development of instructions and its periodic updating on the actions of company personnel in the event of an emergency (fire, earthquake, terrorist threat, man-made disaster, etc.). Organizing and conducting training with company employees on what personnel should do in the event of a fire or other emergency in a shopping center - 2 times a year. Creation of supporting documentation for the above activities.

14. Preparing and conducting exercises to evacuate people from a shopping center in case of an emergency. Organization of practical training on the competent use of personal protective equipment and the use of primary fire extinguishing agents - 2 times a year. Creation of supporting documentation for the above activities.

15. Preparation of all necessary work plans and measures for labor safety.

16. Representation of the interests of the company (Customer) during inspections by the supervisory and control authorities of Georgia and the resolution of disputes and disagreements with them in the field of labor protection and fire safety.

17. Full legal liability (including financial) of the outsourcing company to the Customer in case of non-fulfillment by the company of its obligations under the contract in the field of labor protection (payment of fines or court costs).

As you noted, in principle, we would like to receive a full package of services that provides for the necessary work and the fulfillment of all requirements and measures in accordance with the legislation of Georgia in the field of labor protection.

Place of provision of services: Tbilisi, D. Agmashenebeli Avenue 213, manager of the shopping center "Tbilisi Mall" LLC "Rakeen Uptown Development" IC 204557014.

Deadline for submission of proposals: 10 calendar days after receipt of the application.

Requirements for a potential Contractor

You need:

1. Indicate the full name of the company, its details, legal and actual address.

2. Surname, name of the head of the registry.

3. Staffing of the company. Employees have certificates under the state accreditation program and their validity period. Be sure to need a copy of the certificate of a specialist, which will be attached to our company. Certificate of work experience as a specialist in the field of labor protection.

4. Experience in the Georgian market. List the objects, companies to which you provide your services in the field of labor protection. If you have feedback from these organizations about your work, please provide them.

5. Considering the list of services provided by us on outsourcing in the field of labor protection, we would like to receive from you a calendar schedule for the provision of services (frequency, timing, responsible executor) and proposals in terms of value for each item.

6. We also need to determine the procedure for the delivery and acceptance of the results of services (indicate your vision (experience) in the preparation of acceptance documentation confirming the services provided for the reporting period).

7. Send us the contract form (template) that you enter with your partners.

Safety requirements

To concludes a contract, the Contractor must be checked for security parameters. For which the Contractor is obliged to provide the Customer with the following documents / parts of documents (duly certified copies):

- constituent documents, taking into account all changes and additions to them (Charter, Regulations, Protocol on the creation, etc.).

- certificates of state registration of constituent documents and amendments and additions made to them.

- certificate of state registration.

- certificate of registration with the tax authority.

- an extract from the Unified State Register of Legal Entities issued by the registration authority not earlier than one month before the submission of the draft agreement for approval.

- documents confirming the authority of the person to sign the contract, duly drawn up (minutes (decision) of the authorized management body on the appointment of the executive body; power of attorney, if the contract is not signed by the sole executive body; approval of the relevant management body of the counterparty on the transaction stipulated by the contract, in cases, when it is determined by the legislation of Georgia and constituent documents of the counterparty);

- licenses and/or certificates if the activity carried out by the counterparty is subject to licensing and/or certification in accordance with the legislation of Georgia.

- balance sheet of the counterparty as of the last reporting date.

- a bank card with sample signatures and an imprint of the counterparty's seal.

The contractor is obliged:

- Do not transfer originals or copies of documents received from the Customer, or created by him for the Customer, to third parties without the written consent of the Customer. Perform duties on their own, without imposing obligations under the contract on third parties.

- Suspend your employee from work to provide services for the Customer, at the request of the latter, in case the employee is convicted of non-fulfillment or improper fulfillment of his obligations, in the commission of unlawful acts by the Contractor's employee.

- guarantee the quality and reliability (legitimacy) of the services provided and be responsible for the rendered (or not rendered but provided for by the contract) labor protection and fire safety services at the Customer's facilities.

The Contractor is also obliged to compensate for losses caused to the Customer:

- formed through the imposition of penalties on the Customer by regulatory authorities in the field of labor protection and fire safety.

- in case of destruction, loss or damage to the Customer's property.

- formed in the event of litigation or illegal actions of the Contractor's employees on the territory of the Customer.

- due to other reasons, including a fire that arose because of non-fulfillment or improper (bad faith) fulfillment of the obligations assumed for labor protection and fire safety.

- damage caused to the health of the Customer's employees, because of unfair performance of the obligations assumed, in accordance with the contract for the provision of services in the field of labor protection and fire safety.

Additional services in the field of labor protection and fire safety, not provided for by the contract, should be provided by the Contractor only after receiving a written notification from the Customer with a detailed description of the subject, period, and cost of services. Notification of the need to provide services is sent by the Customer at least 3 working days before the date of provision of services.

In the event of an emergency (force majeure) in the Tbilisi Mall shopping center, the Contractor is obliged to immediately arrive at the site to provide qualified assistance to the Customer's administration in eliminating or localizing the event.

Assignment: So, on the basis of the Terms of Reference you received and the requirements set forth in it, you need to prepare and provide us within the above period, in electronic form to the address of the contact person, your proposal, your vision of the tasks and ways to solve them to provide quality services for of our company in the field of labor protection and fire safety. All required documents must be provided in two languages: Georgian and English.

Contractor, contact person:

Security Manager of Rakeen Uptown Development LLC N. Komelev, tel. 599 544 112,

E-mail: n.Komelev@tbilisimall.com

General Manager of the shopping center "Tbilisi Mall", LLC "Rakeen Uptown Development" -

April 15, 2024. _____ D. Zubkov